შეფასების გუნდი ვიზიტის დროს სისტემურად აფიქსირებდა, თუ როგორ არის რეალიზებული თითოეული თემა ფსიქიკური ჯანმრთელობის კონკრეტულ დაწესებულებაში. ზემოთ აღნიშნული თითოეული „თემა“ ან „უფლება“ დაყოფილია „სტანდარტებად“, რომლებიც თავის მხრივ, იშლება „კრიტერიუმებად“. კრიტერიუმები ხარისხისა და უფლებების შეფასების ბაზისს ქმნის. კრიტერიუმების საფუძველზე ხდებოდა ინტერვიუს, დაკვირვებისა და დოკუმენტაციის მიმოხილვის საშუალებით დაწესებულებაში სიტუაციის შეფასება.

შეფასების ჩატარებამდე 1 კვირით ადრე ეწყობოდა მმართველ გუნდთან მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ხდებოდა დაგეგმილი ვიზიტის განხილვა, საორგანიზაციო საკითხების გადანყვეტა და გუნდის წევრების უნარის, ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით კონკრეტული პასუხისმგებლობების განაწილება. კერძოდ:

- გუნდის კოორდინაცია
- დაწესებულებაში პირობების დაკვირვება
- დოკუმენტაციის მიმოხილვა
- გასაუბრების ჩატარება
- შეფასების ანგარიშის მომზადება

შეფასების გუნდის წევრები არ იყვნენ შემოფარგლური კონკრეტული როლებით, გუნდურად მონაწილეობდნენ როგორც შეფასების სხვადასხვა პროცესში ასევე ანგარიშის მომზადებაში.

მმართველმა გუნდმა განსაზღვრა თითოეულ დაწესებულებაში გასაუბრებისათვის საჭირო სერვისის მომხმარებელთა, ოჯახის წევრების¹ და პერსონალის რაოდენობა. ინტერვიუები ჩატარდა დაწესებულებასთან დაკავშირებული პირების ფართო შერჩევით. გამოიკითხნენ სხვადასხვა ასაკის, სქესის, დიაგნოზის და ეთნიკური წარმოშობის სერვისის მომხმარებლები, მათ შორის ნებაყოფლობით და

¹ ანგარიშში ტერმინი „ოჯახის წევრები“ გულისხმობს ასევე მეგობრებს და მზრუნველებს

არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები და შეძლებისდაგვარად ოჯახის წევრები. ასევე სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლები მათ შორის, დაწესებულების ხელმძღვანელი, ფსიქიატრები, ექთნები, ექთნის თანამშენებელი/მზრუნველები სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, და სხვა. დაწესებულებებში ინტერვიუსთვის შექმნილი იყო სამუშაო გარემო პრივატულობის დაცვით. პაციენტები გამოკითხულნი იყვნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და პაციენტთა მხრიდან სურვილის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ პაციენტები, განსაკუთრებით გრძელვადიან მკურნალობაზე მყოფნი, იყვნენ პასიურები და ნაკლებმოტივირებულნი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს პაციენტის გააქტიურებასა და ჩართულობაზე მიმართული მიდგომების ნაკლებობაზე.

დოკუმენტაციის მიმოხილვისთვის შესწავლილი იყო დაწესებულებების მარეგულირებელი დოკუმენტები: შინაგანაწესი, დასაქმებულთა შრომითი აღწერილობა, შიდა ბრძანებები, ადმინისტრაციული მონაცემები (პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, სერვისის მომხმარებლების რაოდენობა, სქესი, მოთავსების და განერის ჩანაწერები), ჩანაწერები კონკრეტული მოვლენების შესახებ, მაგალითად საჩივრები არანებაყოფლობითი მოთავსებისა და მკურნალობის შესახებ, შეზღუდვის ძალადობის ან სიკვდილის შემთხვევები, სამედიცინო ფაილები, დაწესებულებაში არსებული მედიკამენტების ნუსხა.

ვიზიტის დროს გუნდის წევრები ათვალთვლებდნენ დაწესებულების ყველა განყოფილებას, როგორც ქალთა ასევე მამაკაცთა პალატებს, იზოლაციის/სამეთვალყურეო ოთახებს, ოთახებს თერაპიებისთვის, სამზარეულოს, კვების სივრცეს, სააბაზანოს და ტუალეტებს.

იქ სადაც დოკუმენტაციის მიმოხილვამ, დაკვირვებამ და ინტერვიუებმა დაწესებულების შესახებ ნათელი სურათი შექმნა და ინტერვიუს პასუხები მეორდებოდა, შეფასების გუნდის წევრების გადანწყვეტილებით ინტერვიუები წყდებოდა. ვინაიდან ხუთივე თემა ფასდებოდა, გამოკითხვა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი იყო, პაციენტთა ნაწილი წყვეტდა ინტერვიუს, ნაწილი კი იღლებოდა და ფორმალურად პასუხობდა. ყველაზე რთული აღმოჩნდა ოჯახის წევრებთან გასაუბრება. ოჯახის წევრები იშვიათად აკითხავდნენ პაციენტებს, მათი უმრავლესობა უარს აცხადებდა ინტერვიუზე და ვინც თანხმდებოდა, ძირითადად დადებითად აფასებდა დაწესებულებას და კრიტიკული შენიშვნებისგან თავს იკავებდა. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჩატარებული ვიზიტების და ინტერვიუების ჯამური რაოდენობა.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს რაოდენობა	8
ფსიქიატრიული განყოფილება ზოგადი პროფილის საავადმყოფოში	3
დაწესებულებების ჯამური რაოდენობა	11
გვეგვიური ვიზიტები	11
გამოკითხული პერსონალის რაოდენობა	96
გამოკითხულ პაციენტთა რაოდენობა	143
გამოკითხულ ოჯახის წევრთა (მეგობრების, მზრუნველების) რაოდენობა	12
დაწესებულებაში ჩატარებული გამოკითხვის საერთო რაოდენობა	251

ვიზიტის შემდეგ გუნდის წევრები იკრიბებოდნენ ინტერვიუს, დოკუმენტაციის მიმოხილვის და დაკვირვების შედეგად მოპოვებული შედეგების განხილვის, გაერთიანების და შეჯერების მიზნით. მას შემდეგ, რაც გუნდი შეთანხმდებოდა სტანდარტის თითოეული კრიტერიუმის ქულაზე, ხდებოდა კოლექტიურად

ქულების სუბიექტური „ანონვა“ და გასაშუალება, რომ შესაბამის სტანდარტს ქულა მინიჭებოდა.

გუნდი ინსტრუმენტის თითოეულ კრიტერიუმს, სტანდარტსა და თემას ანიჭებდა ქულას შემდეგნაირად: AF "სრულად მიღწეული", AP "ნაწილობრივ მიღწეული", AI "მიღწევა ინიცირებულია", NI "არ არის ინიცირებული" ან X "არ მიესადაგება". მიღწევის დონის აღწერა მოცემულია ცხრილში:

მიღწევის დონე	აღწერა
სრულად მიღწეული (A/F)	არის მტკიცებულება, რომ კრიტერიუმები, სტანდარტი ან თემა სრულად რეალიზებულია.
ნაწილობრივ მიღწეული A/P)	არის მტკიცებულება, რომ კრიტერიუმები, სტანდარტი ან თემა რეალიზებულია, მაგრამ საჭიროა გაუმჯობესება.
მიღწევა ინიცირებულია (A/I)	არის მტკიცებულება, რომ ნაბიჯები გადაიდგა, რათა დაკმაყოფილდეს კრიტერიუმები, სტანდარტი ან თემა, მაგრამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება საჭიროა.
არ არის ინიცირებული (N/I)	არ არის მტკიცებულება, რომ არის მცდელობა ან ნაბიჯები კრიტერიუმების, სტანდარტის ან თემის დაკმაყოფილების მიმართულებით.
არ მიესადაგება (X)	კრიტერიუმები, სტანდარტი ან თემა არ ეხება დაწესებულებას (მაგალითად საძილე დანაყოფების შეფასება დღის ცენტრში ან ამბულატორიაში)

ქულების შეფასება ყველა დომენში ხდებოდა მსჯელობით და ურთიერთშეთანხმებით. განსხვავებული მოსაზრების შემთხვევაში წევრები ისმენდნენ ერთმანეთის არგუმენტებს და ამის შემდეგ თანხმდებოდნენ ქულაზე. თუ შეთანხმებას ვერ აღწევდნენ უპირატესობა ენიჭებოდა დაბალ ქულას. ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.

შეფასების დასრულების შემდეგ, შეფასების გუნდები რამდენჯერმე შეიკრიბნენ, რომ ქვეყნის დონეზე ანგარიშის მომზადებისას გუნდებს შორის კონსენსუსი შემდგარიყო საერთო თემის, სტანდარტის ან კრიტერიუმის რეიტინგში.

თითოეულ ანგარიშს ახლავს დაწესებულების შეფასების საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია დაწესებულებაში ადამიანის უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ქვეყნის ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დონეზე, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სტაციონარულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

შედეგები და დისკუსია

შეფასება ჩატარდა ქვეყანაში მოქმედი ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველა სტაციონარულ დაწესებულებაში, მათ შორის რვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოსა და ზოგადი პროფილის საავადმყოფოს სამ ფსიქიატრიულ განყოფილებაში. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში შეფასდა ყველა განყოფილება, როგორც მწვავე ასევე გრძელვადიანი განყოფილებები. არ შეფასებულა ამბულატორიული და სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილებები.

დაწესებულებები კოდირებულია შემდეგნაირად. H - ფსიქიატრიული დაწესებულება; N - ზოგადი პროფილის საავადმყოფოში ფსიქიატრიული განყოფილება.

№	დაწესებულება
H1-1	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
H1-2	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
N1	სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი, ფსიქიატრიული განყოფილება
N2	შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო,“ ფსიქიატრიული განყოფილება
H2	შპს ქ. თბილისის ფს. ჯანმრთ. ცენტრი
H3	შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
H4	შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (სურამი)
H5	შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (ბედიანი)
H6	შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
H7	შპს „სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
H8-1	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (გასარემონტ.)
H8-2	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (გარემონტ.)
N3-1	შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი (გასარემონტ.)
N3-2	შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი (გარემონტ.)

ცხრილში მოცემულია დაწესებულებების მიხედვით დაგვეგმილი და ჩატარებული ინტერვიუების ჯამური რაოდენობა.

დაწესებულება	სამედიცინო პერსონალი	პაციენტთა რაოდენობა	ინტერვიუს რაოდენობა					
			პაციენტების ინტერვიუ		შტატის ინტერვიუ		ოჯახის წევრების ინტერვიუ	
			დაგვეგმილი	ჩატარებული	დაგვეგმილი	ჩატარებული	დაგვეგმილი	ჩატარებული
H1	73	82	27	15	21	14	13	4
N1	27	18	9	6	13	7	6	2
N2	31	30	10	5	7	7	5	0
H2	122	210	20	12	9	14	10	4
H3	30	22	10	5	10	5	5	0
H4	32	67	20	9	10	5	10	0
H5	28	155 (110 ადგილზე)	35	27	8	6	4	0
H6	39	29	10	8	5	5	5	1
H7	23	15	7	8	5	5	5	1
H8	91	173	51	21	20	14	10	0
N3	49	130	30	27	12	14	10	0
ჯამი	545	931	229	143	120	96	83	12

დანესებულებების შეფასების შედეგები თემების და სტანდარტების მიხედვით მოცემულია ცხრილებში შესაბამისად.

თემა 1. უფლება ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე
(შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 28);

სტანდარტი	დანესებულება													
	H1.1	H1.2	N1	N2	H2	H3	H4	H5	H6	H7	H8-1	H8-2	N3-1	N3-2
სტანდარტი 1.1 შენობა კარგ ფიზიკურ მდგომარეობაშია	AI	AP	AF	AP	AI	AF	AF	AI	AP	AP	AI	AF	AP	AF
სტანდარტი 1.2 სერვისის მომხმარებელთა საძილე პირობები კომფორტულია და საკმარისად პრივატული	AP	AP	AF	AF	AI	AF	AP	AI	AP	AP	AI	AF	AP	AF
სტანდარტი 1.3 დანესებულება აკმაყოფილებს ჰიგიენურ და სანიტარულ ნორმებს.	AI	AI	AP	AP	AP	AP	AP	AI	AP	AP	AI	AF	AP	AF
სტანდარტი 1.4 სერვისის მომხმარებლებს მიენოდებათ საკვები, უსაფრთხო სასმელი წყალი და ტანსაცმელი, რომელიც შეესაბამება მათ საჭიროებებს და არჩევანს.	AF	AF	AF	AF	AP	AF	AF	AP	AF	AF	AP	AF	AF	AF
სტანდარტი 1.5 სერვისის მომხმარებლებს თავისუფლად შეუძლიათ კომუნიკაცია და პირადი ცხოვრება დაცულია.	AP	AP	AP	AP	AI	AF	AP	AP	AP	AP	AI	AP	AP	AP
სტანდარტი 1.6 დანესებულება უზრუნველყოფს კეთილგანწყობილ, კომფორტულ, მასტიმულირებელ გარემოს აქტიური მონაწილეობისა და ურთიერთობისთვის.	AI	AP	AP	AP	AI	AF	AI	AI	AP	AP	AI	AP	AI	AF
სტანდარტი 1.7 სერვისის მომხმარებლებს შეუძლიათ ისიამოვნონ სოციალური და პირადი ცხოვრებით და შეინარჩუნონ ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აქტივობებში.	AI	AI	AI	AI	NI	AP	AI	NI	AI	AI	AI	AI	AI	AP

დისკუსია

ფიზიკური გარემო, საძილე პირობები, ჰიგიენა, კვება

ფიზიკური გარემოს შეფასებისას ჩანს, რომ დანესებულებების ნაწილში მძიმე მდგომარეობაა (H1.1, H2, H5, H8.1), შეფასებულია როგორც ინიცირებული. ავეჯი მოძველებულია და არასაკმარისი, ოთახებში მხოლოდ ძველი საწოლებია და რამდენიმე პაციენტზე ერთი ტუმბო. N1 დანესებულების ერთი ფლიგელი დაკეტილია 2015 წლიდან რეაბილიტაციისთვის, რის გამოც დანესებულება სრულად ვერ ფუნქციონირებს. ზოგადი პრობლემაა მობილობაშემზღუდული პაციენტების გადაადგილება და ტუალეტით სარგებლობა გარემონტებულ დანესებულებებშიც კი. სუსტი, მობილობაშემზღუდული, ასაკოვანი პაციენტებისთვის პრობლემას ქმნის ტუალეტებით სარგებლობა, სადაც უნიტაზი არ არის.

მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე საძილე დანაყოფებში არიან, თუმცა პრივატულობის საკითხი პრობლემურია როგორც პალატებში ასევე ტუალეტებში. გაურემონტებელ განყოფილებებში ოთახებს კარები არა აქვს. პრივატულობა, პალატებში საერთოდ არაა დაცული „... ან ერთმანეთს ვეფარებით, ან კიდევ ტუალეტში შევდივართ და იქ ვიცვლით.“ - ამბობს ქალი პაციენტი საძილე პირობები სრულად მიღწეულად ჩაითვალა ახალ გარემონტებულ დანესებულებებში და მულტიპროფილურ კლინიკებში, სადაც პალატები არ არის გადატვირთული და ოთახებში არის პრივატული ტუმბოები და შესანახი კარადები, რომლებიც იკეტება; ლეიბები და თეთრეული სუფთა და ახალია. ზოგიერთ გარემონტებულ დანესებულებაში კარებში ჩასმული მინები, პაციენტების აზრით, უხერხულობას ქმნის, განსაკუთრებით შერეულ განყოფილებებში.

სამხავე და ტუალეტი ხშირად არ იკეტება, მხოლოდ პერსონალს შეუძლია მათი ჩაკეტვა/გაღება. ზოგიერთმა პაციენტმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სველი წერტილებით სარგებლობისას ბოლომდე მიუხურავი კარი უხერხულობას უქმნის. პაციენტების გამოკითხვით და დაკვირვებით ჩანს, რომ ჰიგიენური საშუალებები ხელმისაწვდომია, თუმცა ზოგან სარეცხ საპონს იყენებენ. პერსონალის განმარტებით, ანტიბაქტერიული თვისების გამო და ამას პაციენტთა ნაწილიც ეთანხმება. ზოგიერთ დანესებულებაში პრობლემაა ქალის ჰიგიენური საშუალებები და პამპერსები. პაციენტთა უმეტესობა არ იყენებს კბილის ჯაგრისს.

დანესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა, მძიმე ინფრასტრუქტურის გამო შეუძლებელია ჰიგიენის ადეკვატური დაცვა, განსაკუთრებით, სველი წერტილების მოვლა; არ არის მოწესრიგებული ვენტილაციის საკითხი, მძიმე სუნი დგას (H1.1, H5, H8.1).

ინფრასტრუქტურის გაუმართაობას უკავშირდება მასტიმულირებელი გარემოს არ არსებობა (H1.1, H2, H4, H5, H8.1, N3.2). დღის აქტივობები მწირია, ძირითადად დროს ატარებენ ტელევიზორის ყურებაში, რომელიც დერეფანში კიდეა. არ არის სივრცე დასვენებისთვის. პაციენტებმა გამოთქვეს სურვილი იყოს ოთახი სპორტული აქტივობებისთვის. უკეთესი მდგომარეობაა გარემონტებულ დანესებულებებში, თუმცა აქაც ნაწილობრივ არის მიღწეული, რადგან დღე არ არის სტრუქტურირებული და არ უწყობს ხელს პაციენტის სტიმულირებას. სრულად მიღწეულად ჩაითვალა H3 და N3.2 დანესებულებაში, სადაც დამატებითი ძალისხმევა იღება პაციენტთა დღის და გარე აქტიურობის კუთხით.

მართალია, შენობებში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და შიდა ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე პერსონალი ნაკლებად არის ინფორმირებული, ხოლო პაციენტები პრაქტიკულად არ ფლობენ არანაირ ინფორმაციას უსაფრთხოების შესახებ. (პერსონალი განმარტავს რომ აწვდიან ამ ინფორმაციას, თუმცა პაციენტთა გამოკითხვისას ამ ინფორმაციის ქონა არ დადასტურდა). შენობების უმეტესობა არ არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.

კვება და სასმელი წყლით მომარაგება დამაკმაყოფილებელია და უმეტეს დანესებულებაში სრულად

მიღწეულად ჩაითვალა. გაურემონტებელ დაწესებულებებში პრობლემურია ასევე კვების სივრცე და გარემო ინსტიტუციურია. უმეტეს დაწესებულებაში ჭურჭელი მეტალისაა, არ იყენებენ ჩანგლებს, მაგიდებზე არ არის ხელსახოცები.

დაწესებულებებში, სადაც გრძელვადიანი პაციენტები მკურნალობენ, პრობლემაა ტანსაცმლით მომარაგება. ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული ტანსაცმლის შეძენა, პაციენტთა უმეტესობას არააინ აკითხავს, პაციენტებს არ აქვთ ადეკვატური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საშინაო ფეხსაცმელი, თეთრეული და ღამის ტანსაცმელი. ამ დაწესებულებებში ქულამ დაინია და ჩაითვალა ნაწილობრივ მიღწეულად (H2, H5, H81).

კომუნიკაცია და ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

კომუნიკაცია და პირადი ცხოვრების უფლება პრაქტიკულად ნაწილობრივ მიღწეულია, პაციენტებს აქვთ ტელეფონით კომუნიკაციის საშუალება, დაწესებულებებს აქვთ ეზო, პაციენტების მნახველებს თავისუფლად შეუძლიათ პაციენტების მონახულება. სრულად მიღწეულად ჩაითვალა H3 დაწესებულებაში, სადაც პაციენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ საკუთარი მობილურით და ინტერნეტით, თავისუფლად გადაადგილდებიან დაწესებულების ტერიტორიაზე და შეუძლიათ ნებართვით გარეთ გასვლა; ეზო კეთილმოწყობილია დასვენებისა და სპორტული აქტივობისთვის. დიდ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები ფაქტიურად ცხოვრობენ პრობლემურია პაციენტთა თავისუფალი გადაადგილება („ეზოში გასვლაზე ნებართვას ვიღებთ და პერსონალი უნდა გამოგვყვეს“ - ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტი). ეზოები არ არის კეთილმოწყობილი ფიზიკური და სპორტული აქტივობისთვის, პაციენტებს არ აქვთ საშუალება თავისუფლად და სხვების თანდასწრების გარეშე ისარგებლონ ტელეფონით. თუ განყოფილებები შერეული არ არის, საპირისპირო სექსის პაციენტებს ნაკლებად აქვთ ურთიერთობის საშუალება. (H2, H5, H8.1).

N1 დაწესებულებაში პაციენტები მოსაწვევად გარეთ გადიან. პაციენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება იმ ფაქტით, რომ სიგარეტის ღერს ურიგებენ 1 საათში ერთხელ. ასევე თქვეს, რომ სისტემატურად სიგარეტის და გარეთ გაშვების თხოვნა ერიდებათ (ამის გამო „ვარ უხერხულად, არადა რომ მინდა, რა ვქნა?“ - პაციენტი მამაკაცი). პერსონალმა და პაციენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ იყოს მოსაწვევი ოთახი, რადგან ეს მოხსნიდა ზემოთქმულ პრობლემას და უამინდობისას გარეთ გასვლის საჭიროებას.

სოციალური აქტივობა და ჩართულობა სერიოზულ გამოწვევად რჩება იმ დაწესებულებებში სადაც პაციენტები ხანგრძლივად იმყოფებიან. არაინიცირებულად ჩაითვალა H2 და H5 დაწესებულებებში, სადაც პაციენტებს თითქმის არ აქვთ საშუალება ისარგებლონ პირადი ან სოციალური ცხოვრებით, ნაწილობრივ დაფინანსების და კადრების დეფიციტის გამო და ნაწილობრივ დასახლებული ადგილიდან დაშორების გამო. აღნიშნული უფლება ნაწილობრივ მიღწეულად ჩაითვალა H3 და N3.2 დაწესებულებებში, სადაც პაციენტები ყველაზე მეტად არიან ინტეგრირებულნი თემში და შენარჩუნებული აქვთ გარე სამყაროსთან კომუნიკაცია. დანარჩენ დაწესებულებებში ინიცირებულია ცალკეული აქტივობები, სოციალური მუშაკები ცდილობენ ამ მიმართულებით მუშაობას, თუმცა ნაკლები წარმატებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია ხანმოკლე დაყოვნების დაწესებულებები, სადაც პაციენტების საშუალო დაყოვნება 2 კვირაა. პერსონალის აზრით, ამ დროში რამე სოციალური აქტივობის შენარჩუნებაზე ლაპარაკი არ არის რელევანტური. გუნდმა ამ საკითხზე იმსჯელა და ჩაითვალა, რომ არსებობენ პაციენტები, რომლებიც წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად თავსდებიან მწვავე განყოფილებაში და მათთან ამ მიმართულებით მუშაობა სასარგებლო იქნებოდა.

თემა 2. უფლება ისარგებლონ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტით
(შპმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 25);

სტანდარტი	დანესებულება													
	H1.1	H1.2	N1	N2	H2	H3	H4	H5	H6	H7	H8-1	H8-2	N3-1	N3-2
სტანდარტი 2.1 დანესებულება ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც სჭირდება მკურნალობა და დახმარება.	AF	AF	AF	AF	AP	AF	AF	AP	AF	AF	AP	AP	AF	AF
სტანდარტი 2.2 დანესებულებას ჰყავს კვალიფიკური პერსონალი და აწვდის კარგი ხარისხის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისს.	AP	AF	AP	AP	AP	AF	AP	AP	AP	AP	AP	AP	AF	AF
სტანდარტი 2.3² მკურნალობა, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და მხარდაჭერა ქსელებსა და სხვა სერვისებთან ურთიერთობა არის სერვისის მომხმარებელზე ორიენტირებული აღდგენის გეგმის შემადგენელი ნაწილები და ხელს უწყობს სერვისის მომხმარებელთა დამოუკიდებელ ცხოვრებას.	AI	AI	AI	AI	NI	AI	NI	NI	NI	NI	NI	NI	NI	NI
სტანდარტი 2.4 ფსიქოტროპული მედიკამენტები ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომია და სათანადოდ გამოიყენება.	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF	AF
სტანდარტი 2.5 ზოგადი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის ადეკვატური მომსახურება ხელმისაწვდომია.	AP	AP	AP	AP	AI	AP	AI	AI	AP	AI	AI	AI	AP	AP

დისკუსია

სტაციონარული დანესებულებები ხელმისაწვდომია ფსიქიატრიული სტაციონარული მკურნალობის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის, თუმცა ცალკეული გამონათქვამებით, სომატურად სუსტი, ასაკოვანი და ორმაგი დიაგნოზის მქონე პაციენტების მიღება შედარებით გართულებულია და დანესებულებისთვის პრობლემას წარმოადგენს. რაც შეეხება პაციენტთა დაყოფნებს, ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზია ახლობლების უარი და თემში შესაბამისი სერვისების დეფიციტი. შესაბამისად, ეს სტანდარტი ნაწილო-

² იხ. ასევე სტანდარტი 3.1

ბრივ მიღწეულია იმ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები ფაქტიურად ცხოვრობენ (H2, H5, H8). ექიმმა აღნიშნა, რომ დიდი პრობლემაა გადაუდებელი სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომლების კომპეტენცია: „ვერ აფასებენ პაციენტის მდგომარეობას და არასწორად მოჰყავთ. ზოგჯერ „ჩამოაგდებენ“ მიწებში და გარბიან. ხშირად ექიმები საკუთარი ჯიბიდან ვიხდით ტაქსის ფულს მოყვანილი პირის სახლში დასაბრუნებლად“.

ქვეყნის მასშტაბით არ არის ინიცირებული პაციენტზე ორიენტირებული და ყოვლისმომცველი, ინდივიდუალური აღდგენის გეგმა. მკურნალობა ძირითადად მედიკამენტურია და ორიენტირებულია ფსიქოზური სიმპტომატიკის შემცირება/მოხსნაზე და პაციენტის ღრეულ განერაზე ან „მშვიდად“ ყოფნაზე. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ზოგიერთ დაწესებულებაში ინიცირებულია (H1, N1, N2, H3), თუმცა, უმეტესად არაინიცირებულია. ამის მიზეზად რესპონდენტები ასახელებდნენ პერსონალის ნაკლებობას, განსაკუთრებით რეგიონებში და შესაბამისი ტრენინგების დეფიციტს, შიდა და გარე რესურსების სიმწირეს. ხშირად თანამშრომლებს შორის ამ საკითხის საჭიროების თაობაზე შეთანხმება ვერ მიიღწევა (სოციალური შეფასების კომპონენტის გათვალისწინება სამკურნალო გეგმაში); „მულტი გუნდის მუშაობის სტანდარტები არ გვაქვს და არ დგას მულტი გუნდის მუშაობის საკითხი, როგორც ვალდებულება. ამის გამო, სათანადოდ არ ფუნქციონირებს... კარგი იქნება ფსიქიატრების მხრიდან მეტი ჩართულობა მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობაში. აუცილებელია გვექონდეს მულტი გუნდის მუშაობის ფორმა და არსებობდეს კონტროლის ბერკეტი, რომ ამ ფორმამ ნამდვილად იმუშაოს“ - ამბობს სოციალური მუშაკი.

ექიმები, ფსიქოლოგები, ექთნები კვალიფიციურები არიან, სოციალურ მუშაკების უმრავლესობა არ არის განათლებით სოციალური მუშაკი, ექთნის თანამშემწეების კვალიფიკაცია დაბალია და ფინანსურად ნაკლებად მიმზიდველი. ქვეყანაში სხვადასხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტის დეფიციტია. რეგიონებში მწვავე პრობლემაა კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება.

ფსიქოტროპული მედიკამენტები ხელმისაწვდომია, საკმარისია და პასუხობს პაციენტთა საჭიროებებს. ზოგადად, პაციენტები პასიურობენ და მედიკამენტებით და მათი მოქმედებით არ ინტერესდებიან. ვისაც უჩნდება ინტერესი, უკმაყოფილებენ. ნაწილმა, ვინც წლებია მკურნალობს, მეტნაკლებად იციან მედიკამენტები. ერთმა პაციენტმა თქვა, რომ „მაინტერესებს რაზე მოქმედებენ წამლები, მაგრამ მერიდება ექიმის შეწუხება“.

პაციენტების უმეტესობამ არ იცოდა რა უფლებები და ვალდებულებები ჰქონდათ სტაციონარში, თუმცა პერსონალი საუბრისას ამტკიცებდა, რომ აწვდის მათ ამ ინფორმაციას. ზოგიერთ დაწესებულებაში არ იყო გამოკრული პაციენტთა უფლებები და ინფორმაცია, თუ ვის შეიძლება დაუკავშირდნენ უფლებების დარღვევის შემთხვევაში. პაციენტებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, თუმცა იცოდნენ, რომ შეუძლიათ მომსახურებაზე საკუთარი აზრის გამოთქმა. ზოგიერთ დაწესებულებაში შექმნილია გასაჩივრების კომისიები, საჩივრის ყუთები ყველგან კილია (ხშირად ცარიელი), გასაჩივრების განსაკუთრებულ შემთხვევას ვერ იხსენებდნენ. რესპონდენტების გადმოცემით, პაციენტები ძირითადად ასაჩივრებენ სასამართლო გადანყვეტილებას არანებაყოფლობით მკურნალობასთან დაკავშირებით.

წინასწარი განკარგულებების პრაქტიკა საქართველოში არ არსებობს და არც არის რეგულირებადი.

მონოპროფილურ საავადმყოფოებში უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა პაციენტების მისაწვდომობა სომატური ჯანდაცვის სერვისებთან. რეფერალის მექანიზმი არსებობს, თუმცა პაციენტები უკიდურეს შემთხვევებში მისამართდებიან შესაბამის დაწესებულებებში. დაწესებულებაში შემოსვლისას პაციენტებს უტარდებათ ზოგადი ჯანმრთელობის სკრინინგი (კლინიკური ლაბორატორიული ანალიზები, C ჰეპატიტზე სკრინინგი). რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ კონსულტაცია რუტინულ პროცედურას არ წარმოადგენს. ქალმა პაციენტებმა თქვეს, რომ სტაციონარში რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვის საჭიროებაზე არ გასაუბრებიათ. ასევე, არ მიენოდათ ინფორმაცია ფსიქიატრიული მედიკა-

მენტების ზემოქმედებაზე რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, მაგ. მენსტრუალური ციკლის შესაძლო დარღვევაზე.

პრობლემაა ასევე სომატური ქრონიკული დაავადების მართვა და სომატური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება, რადგან ამ შემთხვევაში საჭირო ხდება პაციენტის ტრანსპორტირება და თანმხლები პირის გაყოფა.

მულტიპროფილურ კლინიკებში, საჭიროების შემთხვევაში, თუკი ვერ ხერხდება სომატური ჩივილების მოგვარება ადგილზე, პაციენტი მარტივად რეფერირდება კლინიკის სხვა სეგმენტში, რაც წარმოადგენს ფსიქიატრიული განყოფილების ინტეგრირების პოზიტიურ შედეგს.

ელექტროკრუნჩხვითი თერაპია და ფსიქოქირურგია ქვეყანაში არ ტარდება.

სამეცნიერო კვლევები ფსიქიკურ აშლილობებზე ტარდება ორ დანესებულებაში და სტანდარტი დაცულია.

უმეტეს დანესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურება არაქართულენოვანი პაციენტებისთვის. პერსონალმა იცის რუსული, აზერბაიჯანული, ინგლისური და იყენებენ, თუმცა ეს ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ კომუნიკაციას. ერთადერთი დანესებულება, რომელიც უზრუნველყოფს თარჯიმნით მომსახურებას H3-ია, რომელიც ძირითადად არაქართულენოვან მოსახლეობას ემსახურება. გამონაკვეთად სენსორული დარღვევების მქონე პირებთან ურთიერთობა.

თემა 3. სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეალიზების და პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

(შპმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლები 12 და 14)

სტანდარტი	დანესებულება													
	H1.1	H1.2	N1	N2	H2	H3	H4	H5	H6	H7	H8-1	H8-2	N3-1	N3-2
სტანდარტი 3.1 ³ სერვისის მომხმარებელთა უპირატესობები მკურნალობის ადგილისა და ფორმის შესახებ ყოველთვის პრიორიტეტულია.	AI	AI	AP	AP	AI	AP	AI	AI	AP	AP	AI	AI	AP	AP
სტანდარტი 3.2 არსებობს პროცედურები და გარანტიები თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე მოთავსებისა და მკურნალობის თავიდან ასაცილებლად.	AF	AF	AF	AF	AP	AF	AP	AI	AI	AI	AI	AP	AP	AP
სტანდარტი 3.3 სერვისის მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი სამართლებრივი ქმედუნარიანობა და დახმარება, რომელიც მათ შეიძლება სჭირდებოდეთ სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეალიზებისთვის ხელმისაწვდომია.	AP	AP	AP	AP	AI	AP	AI	AI	AP	AI	AI	AP	AP	AP
სტანდარტი 3.4 სერვისის მომხმარებლებს აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის და პირადი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.	AF	AF	AF	AF	AP	AF	AP	AP	AP	AI	AI	AP	AF	AF

დისკუსია

ზოგადად გამოწვევას წარმოადგენს მომსახურების პროცესში მკურნალობის ადგილისა და ფორმის შესახებ პაციენტის უპირატესობების გათვალისწინება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის ჩართულობის უზრუნველყოფა. აღნიშნული თემის შეფასებისას გამოიკვეთა განსხვავება გრძელვადიან და მოკლევადიან განყოფილებებს შორის. თემში არსებული სერვისების ალტერნატივების სიმწირის გათვალისწინებით, პაციენტებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება იმასთან დაკავშირებით, თუ სად სურთ სერვისის მიღება.

³ იხ. ასევე სტანდარტი 2.3

მომსახურების აღმოჩენისას პაციენტის უპირატესობების გათვალისწინება ნაწილობრივ მიღწეულია მოკლევადიან და მულტიპროფილურ კლინიკებში და ინიცირებულია გრძელვადიანი განყოფილების მქონე დაწესებულებებში (H1, H2, H4, H5, H8). ამ დაწესებულებებში პაციენტები წლობით უწყვეტად ან ხანმოკლე შუალედებით მკურნალობენ და ვერც საზოგადოებაში ბრუნდებიან და ვერც სხვა სათემო სერვისში გადადიან.

შეფასებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალი პაციენტებთან ურთიერთობს პატივისცემით, აღიარებს მათ მიერ ინფორმაციის გაცემის, გადაწყვეტილების მიღების და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობებს, თუმცა პრაქტიკულად ამ უფლების სრულად რეალიზება არ ხდება. ზოგიერთ დაწესებულებაში დამოკიდებულება პატერნალისტურია.

ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების თანხმობა დევს სამედიცინო ფაილბებში. მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაში, სამედიცინო ბარათში დევს მხარდამჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი და არის მხარდამჭერის ხელმოწერაც თანხმობის ფურცელზე. მხარდაჭერილისგან გადაწყვეტილების მიღება არის უპირატესი მიდგომა მკურნალობაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტებმა ფორმალურად ხელი მოაწერეს თანხმობას დაწესებულებაში განთავსებაზე, გამონვევას წარმოადგენს მათი ინფორმირებულობა დაწესებულებაში დარჩენის შედეგებსა და მკურნალობის ალტერნატიულ საშუალებებზე. (H2, H4, H8, 2.N3). „...ხელი კი მოვანერეთ და რა იყო მაგი არ ვიცით“- ძირითადი პასუხი პაციენტებისა არის ასეთი.

მიღწევა არანიცირებულად ჩაითვალა იმ დაწესებულებებში (H5, H6, H7, H8, 1) სადაც პაციენტები არ ფლობენ ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ, არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არანებაყოფლობითი მკურნალობის პრაქტიკა ან საერთოდ არ არის ან ძალიან იშვიათია.

არანებაყოფლობით მკურნალობის საჭიროებისას, იძახებენ მოსამართლეს. სასამართლო პროცესზე პაციენტის ინტერესებს იცავს სახაზინო ადვოკატი. სურვილისამებრ, პაციენტს გადაეცემა სასამართლო გადაწყვეტილება. პაციენტს შეუძლია დაუკავშირდეს პირად ადვოკატს და აქვს გასაჩივრების შესაძლებლობა (გამოიყენოს განყოფილების ტელეფონი, გაიაროს კონსულტაცია დაწესებულების იურისტთან). პერსონალის გადმოცემით, ადვოკატთან კონფიდენციალური შეხვედრის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, დაუთმობენ ოთახს.

ექიმებმა აღნიშნეს, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლოდან მოსული გადაწყვეტილების პაციენტისთვის ხელზე მიცემა და შიგ არსებულ ინფორმაციის გაცნობა პაციენტს უარყოფითად განაწყოებს ოჯახის წევრის/ახლობლის მიმართ.

პაციენტისთვის მხარდამჭერის (იგულისხმება მხარდაჭერის მიმღების სტატუსის დადგენის საჭიროებისას) მოძიებაში დაწესებულებები ჩართული არ არის და ამისამართებენ სოციალური მომსახურების სააგენტოში. პაციენტს ეხმარებიან მხარდამჭერ ადამიანებთან დაკავშირებაში (ასეთის საკონტაქტო ინფორმაციის არსებობისას).

პაციენტების სამედიცინო დოკუმენტაცია დაცულია, ინახება საორდინატოროში. სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებულ ინფორმაციას პაციენტებს სურვილის შემთხვევაში მიანვდიან. მიწოდებული ინფორმაციის მოცულობას განსაზღვრავს მკურნალი ექიმი. პაციენტისთვის მისი სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის პრაქტიკა არ დაფიქსირებულია. პაციენტებმა არ იცოდნენ, რომ აქვთ უფლება დამატებითი ინფორმაცია ან შენიშვნა დაურთონ თავის სამედიცინო ბარათს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის მოდელი არის უპირატესად ჩათვლილი საქართველოს კანონმდებლობაში, გამონვევას წარმოადგენს მისი რეალური იმპლემენტაცია. პაციენტებთან ინტერვიუების პროცესმა გამოავლინა, რომ ისინი ინფორმირებულები არ არიან აღნიშნულ მოდელთან დაკავშირებით, რაც იძლევა მათი მხარდამჭერების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, განსაკუთრებით პენსიის აღებასა და განკარგვასთან დაკავშირებით.

დანესებულებებში გეგმიურ მონიტორინგზე შედის სახალხო დამცველი, საშუალოდ 1-2 წელიწადში ერთხელ, ზოგიერთ დანესებულებაში უფრო ხშირად. ქვეყანაში დახურული ინსტიტუციების მონიტორინგს პერიოდულად ატარებს წამების პრევენციის კომიტეტი, რომელიც შერჩევით ნახულობს დანესებულებებს. სხვა არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაცია დანესებულებებში არ შესულა. ვიზიტების დროს აქცენტი კეთდება ადამიანის უფლებების დაცვაზე და მომსახურების ხარისხის შეფასება ნაკლებად ხდება.

თემა 4. წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან და ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება

(შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლები 15 და 16)

სტანდარტი	დანესებულება													
	H1.1	H1.2	N1	N2	H2	H3	H4	H5	H6	H7	H8-1	H8-2	N3-1	N3-2
სტანდარტი 4.1 სერვისის მომხმარებლებს უფლება აქვთ დაცული იყვნენ სიტყვიერი, ფსიქიკური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობისა და ფიზიკური და ემოციური გულგრილობისგან.	AF	AF	AF	AF	AP	AF	AF	AP	AP	AP	AI	AP	AF	AF
სტანდარტი 4.2 პოტენციური კრიზისის დე-ესკალაციისთვის გამოიყენება იზოლაციის ⁴ და შეზღუდვის ⁵ ალტერნატიული მეთოდები.	AI	AI	AI	AI	AI	AI	NI	AI	AI	NI	AI	AI	AP	AP
სტანდარტი 4.3 ელექტროკრუჩხვითი თერაპია, ფსიქოქირურგია და სხვა სამკურნალო პროცედურები, რომლებმაც დანესებულებაში თუ რეფერალურ დანესებულებაში ჩატარებისას, შეიძლება გამოიწვიოს მყარი ან შეუქცევადი შედეგი, არ უნდა იქნას ზედმეტად გამოყენებული და შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სერვისის მომხმარებლის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით.	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
სტანდარტი 4.4 არცერთი სერვისის მომხმარებელი არ ექვემდებარება სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე	AF	AF	NA	NA	AF	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
სტანდარტი 4.5 მიღებულია ზომები წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად.	AP	AF	AP	AP	AP	AF	AP	AP	AI	AI	AP	AP	AP	AP

⁴ იზოლაცია ნიშნავს პირის ჩაკეტულ ოთხში ან დაცულ ადგილას მართო მოთავსებას, საიდანაც გამოსვლის საშუალება ფიზიკურად შეზღუდული აქვს

⁵ შეზღუდვა ნიშნავს მექანიკური საშუალებების ან მედიკამენტის გამოყენებას პირის მოძრაობების შეზღუდვისთვის.

ზოგადად, პაციენტები კმაყოფილები არიან მოპყრობით. არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში დირექცია იღებს შესაბამის ზომებს. გამონკვევა პაციენტებს შორის ძალადობის შემთხვევები და მათი უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღება. მიზეზად სახელდება კადრების ნაკლებობა და კვალიფიკაცია. ამავე დროს პაციენტთა აგრესიული ქცევა უკავშირდება არახელსაყრელ გარემო პირობებს და მომსახურების დაბალ ხარისხს, რაც ნათლად აისახა ერთსა და იმავე დანესებულების გარემონტებულ და გაურემონტებულ განყოფილებებში (H8.1 და H8.2).

პოტენციური კრიზისის დე-ესკალაციის ალტერნატიული მეთოდები არ არის ფართოდ დანერგილი. უფრო გამოიყენება ფიზიკური შეზღუდვა. პერსონალის გადმოცემით, ჯერ ცდილობენ პაციენტის დამშვიდებას, თუ შედეგი არ მიიღეს, მიმართავენ შებოჭვას და უკეთებენ ინექციას (ექიმის გადანიყვეტილებით). ფიქსაციის რეგისტრაცია ხდება კანონის შესაბამისად. ამის შესახებ არ ეცნობება არც ხელმძღვანელს, არც გარე ორგანოს, რადგან კანონმდებლობის მიხედვით არ არის ამის ვალდებულება. გამონაკლისია პატარა ზომის დანესებულებები, სადაც ასეთი შემთხვევები ცნობილი ხდება ხელმძღვანელობისთვის. გასაუბრებისას პერსონალი აღნიშნავს, რომ ფიქსაციის შემდეგ, ექიმი ესაუბრება პაციენტს გამოყენებული ზომის აუცილებლობაზე და გადაიხედავს პაციენტის ნებაყოფლობით მკურნალობის საკითხი. სამედიცინო ბარათში აღნიშნული არ ფიქსირდება და ძნელია მსჯელობა, რამდენად ხორციელდება. აღნიშნული სტანდარტი ძირითადად ინიცირებულია, რადგან პერსონალი არ იცნობს დე-ესკალაციის ალტერნატიულ მეთოდებს და არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია ამ მიმართულებით. არ არის ინიცირებული H4 და H7 დანესებულებებში, რადგან არ არსებობს შეზღუდვის გამოყენების ჩანაწერები და პერსონალი არ იცნობს არც შეზღუდვის და არც ალტერნატიულ მეთოდებს. ნაწილობრივ მიღწეულად ჩაითვალა N3 დანესებულებაში, სადაც ინტერვიუს დროს პაციენტებმა განსაკუთრებით დააფიქსირეს პერსონალის გულისხმიერება, ყურადღება და შეზღუდვის იშვიათი გამოყენება.

ხაზგასასმელია დაფიქსირების განსხვავებული საშუალებები. ზოგან იყენებენ ზენრებს, ზოგან სპეციალურ თასმებს.

ქვეყნის მასშტაბით აბორტი და სტერილიზაცია არც ფსიქიატრიულ დანესებულებებში ტარდება და არც რეფერალი ყოფილა სხვა დანესებულებაში. ეს სტანდარტი სრულად მიღწეულია.

ზოგადად დანესებულებებში, სადაც არის თერაპიული და კეთილგანწყობილი გარემო, ყველა გამოკითხული პაციენტი კმაყოფილია მოპყრობით და იშვიათია აგრესიის ან ძალადობის გამოვლენა.

თემა 5. დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უფლება

(შპმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 19)

სტანდარტი	დანესებულება													
	H1.1	H1.2	N1	N2	H2	H3	H4	H5	H6	H7	H8-1	H8-2	N3-1	N3-2
სტანდარტი 5.1 სერვისის მომხმარებლებს ეხმარებიან საცხოვრებელი ადგილის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და გააჩნიათ ფინანსური რესურსები თემში ცხოვრებისთვის.	AI	AI	AI	AI	NI	AI	NI	AI	AI	AI	AI	AI	AI	AI
სტანდარტი 5.2 სერვისის მომხმარებლებს გააჩნიათ განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობა.	AI	AI	NI	NI	NI	AI	NI	NI	NI	NI	NI	NI	AI	AI
სტანდარტი 5.3 სერვისის მომხმარებელთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და გაერთიანების თავისუფლების უფლებები მხარდაჭერილია.	AI	AI	AI	AI	AI	AI	AI	NI	NI	NI	NI	NI	AI	AI
სტანდარტი 5.4 სერვისის მომხმარებელთა მონაწილეობა სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და დასვენების აქტივობებში მხარდაჭერილია.	NI	NI	NI	NI	NI	NI	AI	AI	AI	AI	AI	AI	AI	AP

დისკუსია

ეს სტანდარტი შეფასების გუნდების განწყვეტილებით ძირითადად ინიცირებულია ან არ არის ინიცირებული გარდა N3 დანესებულებისა, რომელიც, როგორც ზევით ავლნიშნეთ, გამოირჩევა თემში ინტეგრაციით, გარე აქტივობებით და პაციენტების მონაწილეობა კულტურულ სოციალურ და რელიგიურ აქტივობებში შეფასდა როგორც ნაწილობრივ მიღწეული.

პერსონალი ვერ ეხმარება პაციენტს თემში ცხოვრებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მიღებაში, თუ არ ჩავთვლით პენსიის დანიშნასა და თანხის მიღებაში ხელშეწყობას. “ქრონიკულ პაციენტებს”, რომლებიც ფსიქიატრიულ სტაციონარში ცხოვრობენ, ვერ უზრუნველყოფენ თავშესაფრით, გარდა ერთეული შემთხვევებისა.

ქვეყანაში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა განათლების და დასაქმების პროგრამები არ არის საკმარისად განვითარებული, ხოლო არსებულ პროგრამებზე პერსონალი არ ფლობს ინფორმაციას. სამუხსაროდ, ბევრი ორგანიზაცია უარს ამბობს ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზის მქონე ადამიანების დასაქმებაზე, პაციენტებს პრობლემები ექმნებათ თავშესაფარში დასახლების დროსაც; მწვავე განყოფილებებში პაციენტების ბრუნვიდან გამომდინარე, ნაკლებად აქტუალურია დასაქმებისა და განათლების ხელშეწყობის საკითხები, თუმცა გუნდის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია პაციენტის აღდგე-

ნის პროცესის ხელშეწყობისთვის.

პაციენტისთვის მხარდამჭერის (იგულისხმება მხარდაჭერის მიმღების სტატუსის დადგენის საჭიროებისას) მოძიებაში დაწესებულება ჩართული არ არის, ამისამართებენ სოციალური მომსახურების სააგენტოში. პაციენტს ეხმარებიან მხარდამჭერ ადამიანებთან დაკავშირებაში.

არჩევნების დროს ხმის მისაცემად პაციენტი მისი ფსიქიკური მდგომარეობისა და სურვილის შესაბამისად მიყავთ საარჩევნო უბანზე. მნახველები იშვიათად სტუმრობენ პაციენტებს.

დღესასწაულებს დაწესებულებებში აღნიშნავენ საკუთარი ძალებით და რესურსებით. ცდილობენ ყველა პაციენტს შეუქმნან სადღესასწაულო განწყობა.

პაციენტს აძლევენ შესაძლებლობას გადავიდეს დაწესებულებასთან ახლოს მდებარე ეკლესიაში, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა ამის შესაძლებლობას. როგორც წესი ექთნის თანაშემწის ან ახლობლის თანხლებით..

პაციენტებს ინფორმაცია თემში არსებულ სერვისებზე და ამ სერვისებში ჩართვის გზებზე არ მიეწოდებათ იშვიათი გამონაკლისის გარდა, როდესაც მკურნალი ექიმი ან სოციალური მუშაკი აწვდის პაციენტს მისთვის ცნობილ ინფორმაციას ან აკავშირებს შესაბამის სამსახურებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურია ფსიქიატრიული დიაგნოზის მქონე უსახლკარო ადამიანთა საცხოვრისით უზრუნველყოფა, სათანადო სერვისების არასაკმარისი ხელმისაწვდომობის ან/და არარსებობის გამო. პერსონალი აწვდის პაციენტს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ის ვერ ეხმარება პაციენტს თემში ცხოვრებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მიღებაში. ამიტომ ზემოაღნიშნულის საჭიროებისას, ამისამართებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთან, ან თემში ფსიქიატრიული სერვისების სოციალურ მუშაკებთან (მობილური გუნდი, ამბულატორია).

დანესებულებების ნაწილის საცხოვრებელი გარემო უმძიმეს მდგომარეობაშია, მაღალია პაციენტების ინსტიტუციონალიზმის სინდრომი, მათი მოტივაცია და აქტიურობა დაბალია, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევებსა და სოციალიზაციაზე მუშაობა სუსტია, პაციენტის თავისუფალი არჩევანი და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა პრაქტიკულად არ არის დანერგილი, მკურნალობა მედიკამენტურია, არ არის დანერგილი ინდივიდუალური/აღდგენის გეგმა, მულტიგუნდური მუშაობა, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია არ არის მკურნალობის ინტეგრირებული ნაწილი, საცხოვრისის არარსებობის გამო პაციენტები ფაქტიურად „ცხოვრობენ“ ფსიქიატრიულ დანესებულებაში, პაციენტებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი უფლებები და მათი დაცვა. სამედიცინო პერსონალი გადატვირთულია და დემოტივირებული. უკეთესი მდგომარეობაა გარემონტებულ განყოფილებებში და მულტიპროფილური საავდმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებებში, სადაც უკეთესი თერაპიული გარემოა და მეტი თერაპიული აქტივობა, რაც დადებითად აისახება როგორც პაციენტ-პერსონალის დამოკიდებულებაზე ასევე თერაპიულ პროცესზე. გარდა ამისა ფსიქიატრიის ინტეგრირება მულტიპროფილურ კლინიკებში აუმჯობესებს ფიზიკური ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობას და ამცირებს სტიგმას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინსტრუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბოლოო შეფასების დაფიქსირებისას ხშირად იკარგება მნიშვნელოვანი საკითხები – მაგალითისთვის, თემა 4, წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან და ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება (შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლები 15 და 16), ჩვენს ანგარიშში შეფასებულია, როგორც სრულად მიღწეული, ვინაიდან თემის შიგნით ხუთი კრიტერიუმიდან სამი უმაღლესი მაჩვენებლითაა შეფასებული, რის შედეგადაც სტანდარტი 4.2, პოტენციური კრიზისის დე-ესკალაციისთვის იზოლაციისა და შებოჭვის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შეფასება – მიღწევა ინიცირებულია (A/I) – დაკარგულია (სტაციონარში შებოჭვის მეთოდი ფაქტობრივად ყოველ დღე გამოიყენება და კრიზისული სიტუაციის მართვის ჩვეული საშუალებაა).

ასევე, ხშირად სტანდარტი ორ სხვადასხვა კრიტერიუმს მოიცავს ხოლმე და მათი ერთიანი შეფასების ნახვისას, თვისებრივი მონაცემებისა და კრიტერიუმების კომენტარების გაცნობის გარეშე, ინფორმაცია ბოლომდე თვალსაჩინო არ არის. მაგალითად, თემა 5, სტანდარტი 5.1, სერვისის მომხმარებლებს ეხმარებიან საცხოვრებელი ადგილის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და გააჩნიათ ფინანსური რესურსები თემში ცხოვრებისთვის – სერვისის მოსარგებლის თუნდაც თავშესაფარში მოთავსება არ მოიცავს სტანდარტის მეორე ნაწილს, მის ფინანსურად უზრუნველყოფას.

რეკომენდაციები

თემა 1. უფლება ცხოვრებისა და სოციალური დაცვის ადეკვატურ სტანდარტზე

▲ ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის დონეზე

- ფსიქიკური ჯანმრთელობის 2020-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში დენსტი-ტუციონალიზაციისკენ მიმართული დროში განწერილი ღონისძიებების შემუშავება;
- ზოგადი პროფილის კლინიკებში ინტეგრირებული ან მცირე ზომის ფსიქიატრიულ სტა-ციონარული განყოფილებების/ცენტრების განვითარების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტში ფსიქიატრიული საავადმყოფოების რეაბილიტაციის პროექტების გათ-ვალისწინება;
- სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურების სტანდარტების დამტკიცება და შემდგომი დან-ერგვა;

◆ აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის (ბედიანი) საცხოვრებელი გარემო და მომსახურების პირობები ვერ აკმაყოფილებს ვერანაირ სტანდარტს. რეკომენდებულია, უმოკლეს ვადაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომ ამ დაწესებულების პაციენტთა გარემო პირობები და მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდეს.

▲ დაწესებულების მენეჯმენტის დონეზე

- დაწესებულების განვითარების 3 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ყოველწლიური შიდა მონიტორინგის განხორციელება;
- დაწესებულების შიდა რეგულაციების და სამედიცინო დოკუმენტაციის სტანდარტიზება, კერძოდ:
 - შინაგანაწესი
 - მომსახურების შიდა პროტოკოლი
 - სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგულაციები და პერსონალის მომზადება
 - პაციენტთა მიერ ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობის დარეგ-ულირება საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით
 - პაციენტთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შიდა რეგულაცია
- სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე პირთათვის გარემოს ადაპტირება და პერსონალის მომზადება;
- მომსახურების მაღალი კულტურის დანერგვა და პერსონალის შესაბამისი ინფორმირება და გადამზადება პაციენტის ავტონომიის პატივისცემის, პირადი ცხოვრების დაცულობის, თავისუ-ფალი დროის ორგანიზების საკითხებში.

თემა 2. უფლება ისარგებლონ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტით

▲ ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის დონეზე

- ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის ინტეგრაციის და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე დი-ალოგის დაწყება და შესაბამისი გეგმის შემუშავება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის და სოციალურ სამსახურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება;

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა საოჯახო და რეზიდენტული ტიპის სახლების სტანდარტის დამტკიცება;
- რეზიდენტული და საოჯახო ტიპის სახლების განვითარება (მათ შორის მუნიციპალურ დონეზე);
- ფსიქიატრიული სტაციონარიდან გრძელვადიან მკურნალობაზე მყოფ პირთა, „ქრონიკული პაციენტების“ გამოყვანის გეგმის შემუშავება და ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაში ინტეგრირება;
- საკანონმდებლო დონეზე ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების, უარის, განწერის და სხვა სერვისებში რეფერალის მკაფიო ინსტრუქციების ჩამოყალიბება;
- ფსიქიატრიული მკურნალობის პროტოკოლების შემუშავება/განახლება;
- პაციენტის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ინდივიდუალური/აღდგენის გეგმის შემუშავება და დანერგვა;
- ფსიქოტროპული მედიკამენტების ესენციური ეროვნული ნუსხის შექმნა;
- სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფ პირთათვის სომატური ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის პროტოკოლის შემუშავება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების უწყვეტი სამედიცინო გადამზადების უზრუნველყოფა;
- რეგიონებში ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების მწვავე დეფიციტის აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება (ფინანსური წახალისება, რეზიდენტურის უფასო პროგრამა და სხვა);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფა.

▲ დანესებულების მენეჯმენტის დონეზე

- მკურნალობის და მართვის პროტოკოლების დანერგვა და შიდა სუპერვიზია;
- პაციენტთა ინფორმირების უზრუნველყოფა მათი უფლებების და დაცვის გარანტიების შესახებ;
- შიდა ტრენინგების კასკადი ახალი თანამშრომლებისთვის და ასევე დასაქმებულთა ინფორმირებასა და ცოდნის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ოჯახებთან მუშაობის გაძლიერება, შესაბამისი ღონისძიებების დანერგვა (განათლება, შეხვედრები, კლუბები და სხვა).

თემა 3. სამართლებრივი ქმედუნარიანობის რეალიზების და პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

▲ ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის დონეზე

- სტაციონარულ და სათემო სერვისებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება;
- სერვისებს შორის რეფერალის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავება;
- სათემო მომსახურების სერვისების განვითარების ხელშეწყობა;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მუნიციპალური პროგრამების განვითარება;
- არანებაცოფლობითი მკურნალობის საკანონმდებლო რეგულაციის დახვეწა;

▲ დანესებულების მენეჯმენტის დონეზე

- პაციენტის ინფორმირების და მკურნალობაზე თანხმობის მიღების შიდა ინსტრუქციის არსებობა;
- დანესებულების შიდა რეგულაციებით გასაჩივრების ქმედითი და მარტივი პროცედურების დანერგვა;
- პაციენტთა აზრის სისტემური კვლევის დანერგვა;
- პერსონალის რეგულარული ინფორმირება პაციენტის უფლებების შესახებ და შესაბამისი გადამზადების უზრუნველყოფა;
- არეალში უფასო იურიდიული მომსახურების შესახებ ინფორმაციის შეკრება და პაციენტისთვის მიწოდება;
- პაციენტის მხარდაჭერა საკუთარი უფლებების რეალიზებაში (შეხვედრები, საინფორმაციო მუშაობა, უნარების გაძლიერება და სხვა);
- მხარდამჭერ პირებთან და სხვა სოციალურ ქსელებთან პაციენტის კომუნიკაციის ხელშეწყობა

თემა 4. წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან და ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება

▲ ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის დონეზე

- კრიზისის მართვის პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა;
- შეზღუდვის მეთოდების საკანონმდებლო დახვეწა.

▲ დანესებულების მენეჯმენტის დონეზე

- გასაჩივრების უფრო მოქნილი და ქმედითი მექანიზმის შექმნა, პაციენტის ჩართვა;
- პაციენტისთვის საჭირო იურიდიული კონსულტირების ორგანიზება;
- გარე სამყაროსთან კომუნიკაციის გაუმჯობესება (ტელეფონის ხელმისაწვდომობა, ინტერნეტი, მეილი);
- თანამშრომლების ტრენინგი დე-ესკალაციის ალტერნატიულ ტექნიკებში;
- კრიზისული სიტუაციების მართვის შიდა პროტოკოლების დანერგვა და თანამშრომლების მომზადება.

თემა 5. დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უფლება

▲ ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის დონეზე

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების პროექტების განვითარება ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- მომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნა/გაძლიერების მხარდაჭერა (პროექტები ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე-კლუბები, დღის ცენტრები და სხვა);
- საზოგადოების განათლება, მედია კამპანიების ორგანიზება.

▲ დანესებულების მენეჯმენტის დონეზე

- თემში მიმდინარე ღონისძიებებში პაციენტთა მონაწილეობის მხარდაჭერა;
- პაციენტების ინფორმირება თემში არსებული სოციალური, ფინანსური და დასაქმების რესურსე-

ბის შესახებ;

- დაწესებულებაში რეგულარული (აზრიანი, გასართობი, საგანმანათლებლო) ღონისძიებების ორგანიზება;
- პაციენტთა დღის სტრუქტურირება;
- პაციენტთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების გაძლიერება;
- პაციენტთა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის მხარდაჭერა.

